დიდი ჯურნირი 30 წლისაა

თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ ბალავაძის პრიზზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებო, გვასწავლეთ ჭიდაობა!

„მთავარსარდლები“ შეგირდებისა და ტურნირის შესახებ

ვახტანგ ბალავაძის სახელობის 30-ე საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში რომ არაფრით ჩამოუვარდება სპორტის ამ სახეობის ტრადიციულ შეჯიბრებებს, რომლებიც სხვადასხვა კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნებში იმართება, ამაში არაერთხელ დავრწმუნდით; მაგრამ წლევანდელი ტურნირი შაინც სხვა იყო, გამორჩეული, და თუ რატომ, ამის თაობაზე ყველაზე ობიექტურ და სრულყოფილ პასუხს, ალბათ, თავად ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები გაგვცემენ.

პირველი სიტყვა მახპინძელს:







ვლადიმერ მესტვირიშვილი (საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი) — ტურნირზე თითქმის იმავე გუნდებმა იასპარეზეს, რომლებიც ტრადიციულად გამოდიან მასში, მაგრამ ბოლო წლებთან შედარებით, წელს გაცილებით ძლიერია ამ გუნდების შემადგენლობა, შედარებით სუსტი გუნდი მხოლოდ ბულგარულებმა ჩამოიყვანეს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თბილისში ასეთ ძლიერ შემადგენლობას არ მოუყრია თავი. თითქმის ყველა გუნდს ჰყავს არაერთი ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი და ბევრი მათგანი არაერთგზის ფლობდა ამ ტიტულებს.

რაც შეეხება ჩვენი ფალავნების გამოსვლას, შეფასებისგან თავს შევიკავებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ მოპოვებული მედლების ოდენობით მხოლოდ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გაგვისწრო (ერთი მედლით), სამაგიეროდ, ჩვენ ყველაზე მეტი უმაღლესი ჯილდო — ოთხი ოქროს მედალი მოვიპოვეთ.



დევის იუჯენი (აშშ) — ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, რომ თბილისში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვსულიყავით, და მგონი შევძე-

იხ. მე.2-3 გვ.

ლელა

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

5 თებერვალი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 20 (10 433) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირში არაერთმა სახელოვანმა ფალავანმა იასპარეზა. მათ შორის განსაკუთრებით პოპულარულნი იყვნენ ამერიკელი. დეივ შულცი (ხურათზე მარცხნივ), რომელიც უკვე მეთერთმეტედ (!) ეწვია ჩვენს ქალაქს და ლერი ხაბელოვი. ამ ფოტოებზე მათი ფინალური შერკინებების მომენტებია აღბეჭდილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

გამარჯვებულები საქართველოდან

ავთანდილ გოგოლიშვილი



გოჩა მაკოევი

ლერი ხაბელოვი

ზაზა თურმანიძე

48 კილოგრამი წონითი კატეგორია. ამ შედარებით ნაკლებად პრესტიჟულ წონით კატეგორიაში ბევრმა ძლიერმა მოჭიდავემ მოიყარა თავი. შეხვედრებიც მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ცნობილია, მოჭიდავე რაც მსუბუქია, მით უფრო მოძრავია, ამიტომ „48-კილოგრამიანებმა“ არაერთი ემოციური შერკინება უჩვენეს მაყურებლებს, ფინალში კი ირანელი ნასირ ზაინალია და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმ — ნაიმიკ აბდულაევი შეხვდნენ. ირანელი თავდასხვა იერიშზე გადავიდა და პირველი ქულაც აართვა მეტოქეს, მაგრამ აბდულაევმა მალე კონტრილეთზე „დაიჭირა“ აზიელი და დაწინაურდა. ემოციები დაცხრა. აბდულაევმა კვლავ მომგებიანი ილეთი განახორციელა, დარჩენილი დრო უპირატესობის შენარჩუნებას მოანდომა და მიაღწია საწადელს — გაიმარჯვა ანგარიშით 5:3. III ადგილი დაიკავა სამხრეთკორეელმა კიმ იანგ ჩინგმა.

52 კგ. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებიდან ხუთმა სპორტსმენმა მოიპოვა ფინალში ბრძოლის უფლება. მათგან პირველი, ვისაც ტურნირის ბოლო ეტაპზე უნდა ეცადა ძალა, ლოსანჯელესელი ზიგ ჯონსი აღმოჩნდა, მისი მეტოქე საკავშირო ნაკრების წევრი, კიროვაკანელი სასუნ ეგშატიანი იყო. ამ უკანასკნელის უმთავრესი თვისება ის არის, რომ საკმაოდ თავდაჯერებული, ფრთხილი მოჭიდავეა და გაუმიზნავად ერთ უბრალო მოძრაობას არ შეასრულებს. ახლაც ეგშატიანმა შეტევებით დაიწყო ასპარეზობა და საკმაოდ წარმატებითაც — დაახლოებით 3 წუთში 10 ქულა აართვა ამერიკელს, რომელმაც ქულის აღება ძლივს შეძლო, ზიგ ჯონსი არ შეეპუა გამოცდილ მიეტოქეს, ორჯერ ხიდურზე დაიჭირა იგი, ილეთს ილეთი მოაყოლა, 2 ქულამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა და თითქმის უკვე მოპოვებული ოქროს მედალი კინალამ „ჯიბიდან არ ამოაცალა“ კიროვაკანელ ათლეტს. მაგრამ შეხვედრის საბოლოო შედეგი ლოგიკურად და-

იხ. მე.2-3 გვ.

ᲛᲮᲘᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **ნინო ხურციძე** და თეა ლანჩავა პირველად მიიღებენ მონაწილეობას ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ციკლის ზონალურ შეჯიბრებაში. ეს ასპარეზობა ხულ მალე, 11 თებერვალს დაიწყება ლენინგრადში. ხურციძის მწვრთნელია ელგუჯა ფხაკაძე, ლანჩავას კი ნონა გაფრინდაშვილი ამზადებს.

● **14-28 მარტს** სოჩი მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირს უმასპინძლებს. აქ ერთმანეთს შეხვდებიან 14 და 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონები. 14 წლამდე გოგონებში თბილისელი მაია ლომინაშვილი (მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი) იასპარეზებს, 16 წლამდე — ინგა ხურცილავა (მწვრთნელი ვლადისლავ ურიდია) და თამრიკო ფაჩულია (მწვრთნელი შალვა ფაჩულია), ამავე ასაკში მონაწილეობის უფლება აქვს აგრეთვე ნინო ხურციძეს.

დიანა დარჩია, თეა ლანჩავა და ქეთინო კახიანი, როგორც 1990 წლის ჩემპიონები, პირველი ფინალში გამოვლენ შესაბამისად 14, 18 და 20 წლამდე ასაკის გოგონებში.

ღმერთო, დაიფარე სპორტსმენები!

ჯონ პიტერსონი, — ვინც თვალს ადევნებდა 70-იან წლებში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გამოსვლებს, უთუოდ კარგად ემახსოვრება ამ ფალავნის გვარი. პიტერსონი კარგა ხანს იყო ჩვენი სასიქადულო მოჭიდავის ლუვან თედიაშვილის ღირსეული მეტოქე.

პიტერსონი თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის სტუმარი იყო. ამჯერად მან თბილისში უურადღება მიიპყრო იმით, რომ, როგორც ამერიკული კლუბის „ათლეტები მოქმედებაში“ წევრმა, ჩვენს ფიზკულტურის ინსტიტუტში წაიკითხა ლექცია თემაზე „სპორტი და რელიგია“. კლუბი ქრისტიან სპორტსმენთა საერთაშორისო გაერთიანების წევრია და მისი 300 წარმომადგენელი სხვადასხვა ქვეყანაში გამოდიან ლექციებით თეოლოგიის საკითხებზე.

პიტერსონის ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სპორტისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ისაუბრეს აგრეთვე ამერიკელმა სტუმრებმა, ყოფილმა სპორტსმენებმა კარლ დამბმენმა, კლარ ანდერსონმა, სტივენ ბარეტმ (ორგანიზაციის წარმომადგენელი მოსკოვში) და კრის მეგაფიმ (ორგანიზაციის წარმომადგენელი თბილისში).

ამ შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა ქრისტიან სპორტსმენთა საერთაშორისო გაერთიანებისა და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო კონტაქტებს.

დიდი ტურნირი 30 წლისაა

(დასასრული)

მთავრდა — სასენ ეგზატიანმა დამსახურებულად გაიმარჯვა. კვიცხლაძეკის ეგსაბე საფეხური საბჭითა გუნდის წარმომადგენელმა მიხეილ კუშნირმა შეიყენა.

57 კგ. ეს პირველი წონითი კატეგორია იყო, რომლის ფინალურ შეხვედრასაც მოუთმენლად ელოდნენ სპორტის სასახლეში თავმოყრილი მაყურებლები: ჩვენი რეპუბლიკის წარმომადგენელი (გიორგი სისაური უნდა შეხვედროდა ბაგავდნს უმამაროს, მაგრამ, სამწუხაროდ, სასაური ფინალისწინა ორთაბრძოლაში დამშვდა და ვერ შეძლო გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება. ასე რომ, უმამაროს „უნრომლად“ გადაეცა ოქროს მედალი, ტრაგიმრეული ჩვენი თანამემამული კი მხოლოდ „ვერცხლს“ დაესკერდა. სპპრიზი სამეული შეავსო მაზამედ ზოლპატრამ (ირანი).

62 კგ. ვასული წლის საერთაშორისო ტურნირში თავის უფფალ ეიდაობაში ამ წონის გამარჯვებული ჩვენი ფალავანი ვიჩა მაკოვეი გახდა, მაგრამ წელს მან სსვა — 68 კილოგრამში იკიდავა და საქართველოს ნაკრებეკი ამჯერად უმეტოლოდ დარჩა.

საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა: ვაჟი რაშიდოვმა და ნიაზბეკ ანტუევმენ ფინალურში პაკრობა მეტად დამაბეულად წარმართთა. მოკიდავეები, ეტყობოდა, კარგად იცობდნენ ერთმანეთს, ამიტომაც ყოველ ჯერზე რისკს ერიდებოდნენ და თავიდან თითო ბალი ბალიოლებაც მაიღეს, მაგრამ მალე შეეცალეს ბრძოლის ტემპტაკი — „ღიია ბიდობა“ არჩიეს. ამ კი ბეღმა რაშიდოვს ბალეთმა და მინიმალური უპირატესობით — 2:1 — გიიმარჯვა. მესამე ადგილზე ტურნირის ოთხზეს რეპპიონი რუსული კარაეეი (სსკ), გავდა, რომელმაც ნახეკარფინალური ორთაბრძოლაში დასანინი შეეცადა დაუშვა მოწინააღმდეგეს�თან და დამარცხდა, თორემ მისი ეიდაობა ამ ტურნირზე უფრო მაღალ შეფეასაც იმსახურებდა.

68 კგ. და აი, პირველი ჩემპიონი საქართველოს რესპუბლიკის ნაკრებიდან — გიორგი მაკოვეი. ამ წარმატებით მან „ეიასამა“ ეფრანგ ბალავეთის სახელობის სერთაშორისო ტურნირში მოპოვებული ოქროს მედალი — ზედიზედ მესამეეი დაეუფლა მათ.

წარმატება თავისით არ მოსულა. მართალია, გიორგ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოკიდავე საბჭოთა კავშირში, ყველა ორთაბრძოლა, ფინალის ჩათვლით, დამაჯეიებლად მოიგო, მაგრამ ეს უმთავრესად მისი სიძლიერის დამსახურებაა და არა მეტოქეთა სისუსტისა ან ფორტუნის წყალობისა.

მაშ ასე: პირველი ქართული ფინალი — გიორგ მაკოვეი — გიორგი ხინჩიკაშვილი. გიორგ პირველსავე წუთზე ორი ქულა მოიპოვა, მაგრამ ამით არ დამაყოფილებულა, კვლავ ავრძელებდა იერიშებს. ხინჩიკაშვილმაც სკალა რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდის თავის სასარგებლოდ გამოყენება, მაგრამ მაკოვემა საკუთარ იღეთზე „წაასწრო“ და კიდევ ორი ქულა აიღო; ოთხს კი ლავ ოთხი დაუპატა და გიიმარჯვა მშრალი ანგარიშით — 8:0. ამერიკელი ჯონ გიფუა „ბრინჯაოს“ დაეუფლა.

74 კგ. ვასული წლის საერთაშორისო ტურნირში თავის უფფალ ეიდაობაში ამ წონის გამარჯვებული ჩვენი ფალავანი ვიჩა მაკოვეი გახდა, მაგრამ წელს მან სსვა — 68 კილოგრამში იკიდავა და საქართველოს ნაკრებეკი ამჯერად უმეტოლოდ დარჩა.

საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა: ვაჟი რაშიდოვმა და ნიაზბეკ ანტუევმენ ფინალურში პაკრობა მეტად დამაბეულად წარმართთა. მოკიდავეები, ეტყობოდა, კარგად იცობდნენ ერთმანეთს, ამიტომაც ყოველ ჯერზე რისკს ერიდებოდნენ და თავიდან თითო გაფრთხილებაც მაიღეს, მაგრამ მალე შეეცალეს ბრძოლის ტემპტაკი — „ღია ბიდობა“ არჩიეს. ამ კი ბეღმა რაშიდოვს გაეუღიმა და მინიმალური უპირატესობით — 2:1 — გიიმარჯვა. მესამე ადგილზე ტურნირის ოთხზეს რეპპიონი რუსული კარაეეი (სსკ), გავდა, რომელმაც ნახეკარფინალური ორთაბრძოლაში დასანინი შეეცადა მოწინააღმდეგესაგან ერთ ერთ ქულა ბალიოლებაც, ეს ბალიოლებაც ბოლოს ბოლოს, ვასსაწყლოდ ბიდობამ.

82 კგ. კვლავ ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი — ავთანდილ გოგოლიშვილი და ჯონი მოდოსიანი ეკიკინებოდნენ ერთმანეთს, რადგან, შეხვედრის შედეგის მიუხედავად, ოქროს მედალი საქართველოში რჩებოდა, მაყურებელიც შედარებით შვიდად აღებულნენ ამ ორთაბრძოლას თვალს. ბრძოლა კი თითქმის თანაბარი უპირატესობით მიმდინარეობდა, მოკიდავენი დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, რადგან ეუიბედად არ წამოგებულიყვნენ მეტოქის ნაცრის ფიღნდზე, მაგრამ უფრო ყურადღებიანი გოგოლიშვილი აღმოჩნდა. მან, რაკი 1 ქულა მოეგებული ჰქონდა, ყველაფერი იღონა წარმატებით დაწყებული საქმის ბოლომდეე მისაყვანად. ამაც მოხდა — ეთვალეთ-ეთ. ეუბეზეეი გოგოლიშვილმა. რაც შეეხება ჯონიმე, იგი მოიპოვა ამერიკელმა როის ალკერმა.

90 კგ. ამერიკელმა კრის კეპპელმა შესანიშნავად ისასპარეზა შეესარეკე შეხვედრებში და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. ამ მოსაგ მოწინააღმდეგე მახარკალელი ვალგან კახიბეკოვი იყო. ძირითად, 5-წუთიან საპდალი დროში მაყურებლებმა ბევრი ფალავანი ნახეს, ბევრ ეიდაობას ესწრებოდნენ, ბევრ ეიდაობაზე ბევრ ეიდაობაზე ბევრ ეიდაობაზე

გამოუცხადებელი ომის დასასრული

იმაზე, თუ როგორ ვცდილობდით გაგვემარჯვნა გდრ-ზე დარბაზში, ხმელეთზე, წყალსა და სპორტდარბაზებში

გდრ-ში სპორტი უმთავრესი საშუალება იყო მხოფლიო აღიარების მისაღწევად. მისი მეშვეობით იდეოლოგები ამტკიცებდნენ გერმანულ მიწაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს უპირატესობას მის დასავლეთელ მეზობელთან შედარებით. გდრ-ში სპორტისადმი ასეთი მიდგომა მთლიანად გადმოიღეს ჩვენში და სრულყოფილებამდე აიყვანეს იგი. ტოტალიტარულ ქვეყანაში გერმანელებმა მათთვის ჩვეული მონდომებითა და დისციპლინით შექმნეს ისტორიაში არნახული სპორტული კულტის სისტემა.

ისინი ჩვენ გვეუბნებოდნენ: „გდრ პატარა ქვეყანაა და ჩვენ არასოდეს ვცდილვართ თქვენთვის გვეჯობნა. ეს შეუძლებელია“.

მაგრამ ამ 17-მილიონიანმა ქვეყანამ, მოახერხა გადაქცეულიყო სპორტულ ზესახელმწიფოდ, სსრკ-ს და აშშ-ს მსგავსად. აი, აქედან დაიწყო ბრძოლა, რომელიც ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა შენიღბულად ურთიერთკეთილმოსურნეობის, ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის სიტყვებით. სპორტულ ომში ჩაებნენ ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურები, სამეცნიერო პოტენციალის ჩართვით. მათზე იხარჯებოდა არც თუ მცირე ფინანსური სახსრები. როგორც ყველა ომში, შოიძებნებოდა მოწინააღმდეგის საიდუმლოებები და მოღალატეებს სჯიდნენ.

იმ წლებში გდრ-ს სპორტული ბოსები უკიდურესად უარყოფითად აღიქვამდნენ ჩვენი პრესის ნებისმიერ გამონათქვამს, სადაც აქცენტი მახვილდებოდა ამ ორი ქვეყნის სპორტულ ასპარეზობებზე. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც ხაზგასმული იყო საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებები. თავის მხრივ ჩვენს ჟურნალისტებს აფრთხილებდნენ მაინცდამაინც ხატოვნად არ გადმოეცათ გდრ-ის ათლეტების თვალსაჩინო მიღწევები, რათა ფსიქოლოგიური ტრავმა არ მიეყენებინათ ჩვენებისთვის.

ყველაფერი, რაც კი ეხებოდა უმაღლეს მიღწევებს სპორტში, გდრ-ში სახელმწიფო საიდუმლოდ ითვლებოდა. საწვრთნელი ვარჯიშების შედეგები საგულდაგულოდ იმალებოდა საბჭოთა „მეგობრებისგანაც“. ცნობილ ათლეტთან სრულიად უბრალო ინტერვიუსთვისაც კი საჭირო იყო ნაკრების ხელმძღვანელისგან სპეციალური ნებართვის აღება.

მოსწავლეებმა მალე გაუსწრეს თავის მასწავლებელს. ეხლა უკვე ისინი სწავლობდნენ ერთმანეთისგან.

გასაიდუმლოვდნენ გერმანელები, ჩვენც. იგივე მოვიმოქმედეთ. მოსკოვის ოლიმპიადის წინ სპორტული გამოცემების რედაქციებში გავრცელდა სსრკ-ს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის ცნობილი ბრძანება ჩვენი „მნათობების“ საწვრთნელი ვარჯიშების დაწვრილებითი მონაცემების პრესაში გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ, რათა ამით არ ესარგებლა ჩვენს გაწაფულ მოწინააღმდეგეს.

აღმოსავლეთ გერმანის სპორტსმენთა ძლიერების ზრდასთან ერთად ვითარდებოდა ფარული მწვავე წინააღმდეგობა ამ ორ ქვეყანას შორის. „ოდევ ერთი ოლიმპიადა გაჩაღდა სადოპინგო პრეპარატების გამოყენების, სფეროში. ჩვენებს ამ საკითხში მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდათ — როგორმე არ ჩამორჩენოდნენ გდრ-ს. სპეციალისტებს შორის ვრცელდებოდა გონების აღმრევი ხმები გდრ-ს მეცნიერთა მიერ შემუშავებულ ზესაიდუმლო, ანაბოლურ სტეროიდთა განსაცვიფრებელ ეფექტურ საშუალებათა გამოყენებაზე. ეს ხმები კიდევ უფრო აღვივებდნენ ვნებებს და უკანასკნელ წინააღმდეგობებს შლიდნენ, რათა გზა გაეხსნათ ხელთარსებული ნებისმიერი სადოპინგო საშუალებების მიღებისთვის. ადვილი წარმოსადგენია როგორი მოთხოვნილებით სარგებლობდა ანაბოლური სტეროიდები მოსკოვის ოლიმპიადის მზადებისთვის, როდესაც არც თუ ისე სრულყოფილი დოპინგ—კონტროლი მთლიანად დაინტერესებული მხარის ხელთ იყო.

აშშ-ს გუნდების მონაწილეობის გარეშე 80-იანი წლების თამაშებში საბჭოთა სპორტის სრული ტრიუმფით უნდა დასრულებულიყო. მძლეოსანთა შეჯიბრების დღეებში დასავლეთის ტელეკომპანიები თავის რეპორტაჟებში იმ მომენტებს იმეორებდნენ, რომლებიც დოკუმენტურად ასახავდნენ მსაჯთა „შეცდომებს“. ჩვენს სასარგებლოდ. ოღონდ მაშინ ამას ვერავის შესჩივლებდი.

გავიხსენოთ მტკიცე მარჯვენით ვინ მართავდა იმ დროს ჩვენს სპორტს. სსრკ სპორტკომიტეტისა და მის რიგ სამმართველოებს სათავეში კომკავშირულ—პარტიული მუშაობის დიდი გაოცდილების მქონე მოღვაწენი იდგნენ. სპორტში მათ შემოიტანეს თავიანთი მუშაობის საქმიანი სტილი, რომლის მეოხებითაც მიზნის მისაღწევად მაინცდამაინც არ იწუხებდნენ თავს საშუალებების არჩევისთვის. ამ ხალხს რომელიმე სხვა, უფრო მშვიდ სამინისტროში რომ ემუშავათ, მშვიდადაც იცხოვრებდნენ. აქ კი ყოველდღიურ საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობა მოუწდათ და იძულებული იყვნენ პასუხი ეგოთ ყველა ხმამაღალ დამარცხებაზე. აშშ-ის ათლეტებთან შეჯიბრებაში წარუმატებლობის ახსნა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ გდრ-სთან წაგება აუტანელი იყო. მოწინააღმდეგის ყოველი გუნდური გამარჯვება, ყოველი რეკორდი, სპორტული ფუნქციონერების მიერ აღიქმებოდა, როგორც დარტყმა მათს ავტორიტეტსა და მდგომარეობაზე. ასეთი დარტყმები კი ჭარბად აღინუსხა —გდრ-ს სპორტსმენებმა 519 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს.

აღმოსავლეთ გერმანიის სპორტულ მიღწევათა აპოთეოზი ოლიმპიურ 1984 წელზე უნდა მოსულიყო. დიდი როლი კვლავ ფარმაკოლოგიას ეკისრებოდა, უფრო მარტივად, დოპინგს. ამის დოკუმენტური მასალები გერმანიაში შარშან გამოქვეყნდა. უფრო ადრე კი კანადელი სპრინტერის ბენ ჯონსონის დისკვალიფიკაციის სასამართლო საქმის გარჩევისას გამომზეურდა ის ფაქტები თუ როგორ მოგზაურობდნენ გდრ-ს წარმომადგენლები მთელს მსოფლიოში და ჩუმად იძენდნენ ყველაზე თანამედროვე სადოპინგო პრეპარატებს.

რამდენ თანხას ხარჯავდა სახელმწიფო გრანდიოზულ სპორტულ პროგრამებზე?

— ამას ზუსტად ვერავინ იტყვის, — ჩემი კითხვის პასუხად მხრები აიჩეჩა ერთ-ერთმა წამყვანმა გერმანელმა სპორტულმა ჟურნალისტმა, — თანხები შეუზღუდავი იყო.

ახლახანს ცნობილი გახდა 1984 წლის სპორტის უმაღლეს მიღწევათა დაფინანსების თანხა—442 მილიონი მარკა. აღნიშნულია, რომ ეს ყველაზე დიდი თანხაა გდრ-ს სპორტის ისტორიაში. ფული ტყუილად არ დახარჯულა. სარაევოს ზამთრის ოლიმპიადაზე საბჭოთა ოლიმპიელები ბეწვზე გადაურჩნენ თავის „მეგობარ“ მეტოქესთან“ წაგებას. სარაევოში მძიმე დღეები გადაიტანა სსრკ-ს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ მარატ გრამოვმა. ოლიმპიადაზე გდრ-ს გამარჯვება მას შეიძლებოდა „მინისტრის“ სავარძლად დაჯდომოდა.

სსრკ-ში გაისმა მოწოდებები გდრ-სგან მაგალითის აღებისა ტოტალური სპორტის სტრუქტურების ასაღორძინებლად. ტარდებოდა გერმანული სისტემის გადმოღების გაუბედავი ცდები, რომელსაც უნდა ითქვას, ჩვენთან განვითარების საფუძველი არ ჰქონდა. ამასთან, ხელმძღვანელობას უკვე ჰყოფნიდა ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის დაგროვილი სპორტული პოტენციალი. დიდმა სპორტულმა ომმა თანდათან საბოლოოდ გაუქარწყლა სურვილი მაღალი რანგის უფროსობას ეზრუნა მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე. მისთვის აღარ ეცალა.

და აი, სპორტის ისტორიაში ეს ყველაზე ხანგრძლივი ომი მოწინააღმდეგეთაგან ერთ-ერთის გაუჩინარებით დასრულდა. გერმანელები დაუნანებლად დაემშვიდობნენ თავიანთ სპორტულ დიდებას. მათ აღიარეს, რომ ასეთ სპორტს მხოლოდ გდრ-ში შეიძლებოდა ეარსება. აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობამ სულ სხვა ღირებულებებს მიანიჭა უპირატესობა. ოლიმპიური მედლებისთვის ეხლა აღარავის სურს დახარჯოს ასი მილიონობით მარკა. ყოფილი გდრ-ს „ვარსკვლავები“ შარშან უკანასკნელად გამოვიდნენ ძველი ნაკრების სახელით და მსუბუქი ნოსტალგიის გრძნობით მოისმინეს მომაკვდავი ჰიმნი. ბევრი მათგანი უმალვე ჩაეწერა დასავლეთის კლუბებში. ვამოთხოვებისას კი უსაყვედურა თავის ყოფილ ხელმძღვანელებს „სოციალისტური არაფრისკეთებაში“. მათ საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი თავის ლეგენდარულ წარსულთან და „თავისუფალ დინებას“ მიაყვნენ.

მიუღწეველი იდეალისაკენ სწრაფვამ ვერც ჩვენ მიგვიყვანა საყოველთაო სპორტის აყვავებამდე. მოხდა საწინააღმდეგო რამ. და ჩვენს ქვეყანაში უკვე გაისმა კითხვა: ღირს კი ფულის ხარჯვა?

„არ დაშალოთ სამამულო სპორტი! დასავლეთი ისარგებლებს ჩვენი კრიზისით, ჩვენს წინაშეა გაერთანებული გერმანია“ — ისმის პასუხად. ახალი ბრძოლა იწყება?

ნიკოლაი ივანოვი

„მეგაპოლის ექსპრესი“ №3 1991 წ.

თენგიზ სიხარულიძე

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ვეტერანი თანამშრომელი, საქართველოს ფიზკულტურიხა და სპორტის დამსახურებული მუშაკი თენგიზ ალექსის ძე სიხარულიძე.

იგი დაიბადა 1920 წელს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფიზკულტურის ტექნიკუმში, რომელიც 1940 წელს დაამთავრა. მუშაობდა სკოლაში ფიზიკურ-ზრდის მასწავლებლად, „ახალგაზრდა დინამოელის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელად, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ თავმჯდომარედ, ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად. 1959 წლიდან მუშაობდა „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში უფროს ინსტრუქტორად. 1969-71 წლებში კი „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი იყო. 1971-87 წლებში ხელმძღვანელობდა „დინამოს“ საბჭოს სპორტნაგებობებისა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას, 1987 წლიდან გარდაცვალებამდე კონცერნ „ხოფლმშენის“ სამეურნეო სამმართველოს უფროსი იყო.

დიდია თ. სიხარულიას ღვაწლი ქართული სპორტისა და „დინამოს“ საბჭოს საქმიანობაში, რისთვისაც მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო, იყო „დინამოს“ საპატიო წევრი.

თ. სიხარულია განსაკუთრებული გულისხმიერებით და ადამიანური თვისებებით გამოირჩეოდა თანამშრომელთა და მეგობართა შორის. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მათ გულებში.

„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-4 ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.331.517 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამ ჯგუფის მოსაგები ფონდი 9.757 მანეთის ოდენობით დაემატება მე-5 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომლის საერთო ოდენობა 31.854 მანეთი გახდა. 5 ნომრის გამოცნობისთვის (18) მოგება 4.914 მანეთია, ოთხისთვის (1.446) — 157, სამისთვის (884) — 3 (სამი ნომრის გამოცნობისთვის მოგება გაიცემა მხოლოდ მე-9 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიან ბილეთებზე).

საქართველოში: დაშვებულია 25.238 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—16, 3—7.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 17.675.028 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (85) მოგება 6.238 მანეთია, ოთხისთვის (12.418) — 68, სამისთვის (318.149) — 4.

საქართველოში: დაშვებულია: 378.299 ვარიანტი. 5—1, (ოზურგეთი), 4—245, 3—6.733.

მე-4 და ამავე ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 16 თებერვლიდან 16 მარტის ჩათვლით.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

ლოტერეა

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-5 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 12 (ტანვარჯიში), 27 (მშვილდოსნობა), 30 (ძალოსნობა), 37 (აკრობატიკა), 39 (ბადმინტონი), 45 (შაში).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 3 (ბობსლეი), 11 (ფრენბურთი), 13 (საშთოსათხილამურო სპორტი), 23 (თხილამურებით ხტომა და ორეული), 34 (ბალახის ჰოკეი).

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის მე-4 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.787.295 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1.254) მოგება 37 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (16.559) —5, 11 შედეგის გამოცნობისთვის (89.541) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 109.824 ვარიანტი. 13—471, 12—518, 11—2.692.

მე-4 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 16 თებერვლიდან 16 მარტის ჩათვლით.

ლემონდი მოზერის წინააღმდეგ

პროფესიულ ველოსპორტში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რეკორდია საათიანი რბოლა ტრეკზე, რომელიც 1984 წლის 23 იანვარს დაამყარა მეხიკოში სახელგანთქმულმა იტალიელმა ფრანჩესკო მოზერმა. მას შემდეგ რეკორდის გაუმჯობესება ბევრმა ველოსიპედისტმა სცადა. თავად მოზერმაც შეუტია ერთი-ორჯერ თავის მიღწევას, მაგრამ ამაოდ, დღემდე იგი ურყევად დგას.

და აი, ახლა მოზერის რეკორდის დამხობა განიზრახა ცნობილმა ამერიკელმა პროფესიონალმა გრეგ ლემონდმა. მაგრამ ამისთვის მას ხანგრძლივი მზადება დასჭირდება. თითქმის გადაწყდა, რომ რეკორდის გაუმჯობესებას ლემონდი ცდის 1992 წლის აგვისტოს კოლორადო-სპრინგსში.

„სპორტპროგნოზი“, მე-7 ტირაჟის პროგნოზი (15-17 თებერვალი)

		პროგნოზი			
სსრკ ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)					
1. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	15.II	10	30	60	X
2. „სოკოლი“ (კიევი) — „ტრაქტორი“ (ნიჟნი ნოვგოროდი)	15.II	70	20	10	1
3. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „დინამო“ (მოსკოვი)	15.II	30	40	30	2
4. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი)	15.II	50	10	40	2
სსრკ ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (გადასასვლელი ტურნირი)					
5. „ლიდა“ (ტოლიატი) — „დინამო“ (ხარკოვი)	15.II	60	30	10	2
6. „იუბილეი“ (იეევსკი) — „დინამო“ (მინსკი)	15.II	30	20	50	X
7. „კრისტალი“ (ელექტროსტალი) — ახკ (ლენინგრადი)	16.II	60	20	20	1
8. „ავანგარდი“ (ომსკი) — „სიბირი“ (ნოვოსიბირსკი)	17.II	30	40	30	1
სსრკ ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)					
9. „დინამო“ (მოსკოვი)— „ზორკი“ (კრასნოგორსკი)	17.II	30	60	10	1
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში					
10. „ლეჩე“ (ლეჩე) — „ჯენოა“ (გენუა)	17.II				
11. „რომა“ (რომი) — „ინტერი“ (მილანი)	17.II	20	70	10	1
12. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	17.II	40	40	20	1
13. „პიზა“ (პიზა) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	17.II	10	70	20	X

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ვ. ბურდული, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ლაზეთი“ ტალინი. ფასი 8. კოსტოევის ქ., 14. ფასი 10 კაპიკი, ბიბლიოთეკა ქ. 39.